ოთხშაბათი, 31 იანვარი, 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი — № 22

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. ზოგიერთი პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ".

მიიღება ხელის მოწერა 1907 წლისათვის.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ი ს ა რ ი

გაზეთი ღირს:

| ერთის წლით: | | ნახევარის წლით: | | ერთის თვით: | |
|---|---|---|---|---|---|
| ტფილისში | 6 მ. 50 კ. | ტფილისში | 4 მ. — კ. | ტფილისში | — მ. 75 კ. |
| ტფილისს გარედ | 7 „ — „ | ტფილისს გარედ | 4 „ 50 „ | ტფილისს გარედ | — „ 80 „ |
| საზღვარ-გარედ | 12 „ — „ | საზღვარ-გარედ | 6 „ — „ | საზღვარ-გარედ | 1 „ 50 „ |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

ხელის მოწერა შეიძლება:

**ტფილისში:** 1. «ისრის» რედაქციაში (ელისაბედის ქ., № 1, მილოვის სახლი). 2. «ქ. შ. წ.-გ.-კ. საზოგ.» წიგნის მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან (სასახლის ქ.). **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან («კოლხიდის» ამხანაგობაში). **ჭიათურაში:** სოფრომ ტარიელოვთან, ჭიათურის კანტ.ში. **ბაქოში:** გიორგი ჩხეიძესთან (ჯინჯარაძის და ჩხეიძის მაღაზიაში).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція газ. «ИСАРИ».**

ხუთშაბათს 1 თებერვალს ქ. ქუთაისში სომხების ეკლესიაში, დილის 10 საათზე, გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

კნ. მარიამ მიხაილის ასულის თუმანიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც შვილი მისი თ-დი ალექსანდრე დიმიტრის ძე თუმანიშვილი აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ (3—ფორ.—2)

**ეფემია ივანეს ასული ყორღანაშვილისა, ანასტასია ლაზარეს ასული ბარნოვის, სოფიო ლაზარეს ასული ბეჟანაშვილისა, ეკატერინე ლაზარეს ასული ანანიაშვილისა და ნინო ლაზარეს ასული ახალშენიშვილისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრად გარდაცვალებას პირველი—დაუვიწყარ მეუღლისა, ხოლო დანარჩენნი—უსაყვარლეს ძმის

დავით ლაზარეს ძის ყორღანოვისას

გამოსვენება დანიშნულია ოთხშაბათს, 31 იანვარს. (ყიფიანის ქუჩა, საკუთარი სახლი № 21) დილის ცხრა საათზე სამების ეკლესიაში და წირვის შემდეგ კუკიის სასაფლაოზე დასაკრძალავად. (1—516—1)

ძმათა ნიკიტინების ცირკი.



ოთხშაბათს, 31 იანვარს, გაიმართება დიდი და საუცხოვო წარმოდგენა. გასტროლი ევროპაში ცნობილ მეველოსიპედეთა ძმ. ეფიმოვებისა გამოვა ცნობილი უნგრელი მხედარი M-lle ორანტო. სასწაული მე-20 საუკუნისა! **მალლი მემუსიკე** უკრავს ფის-გარმონზე არიებს და ოპერებს. თუ გინდათ დარწმუნდეთ, მოდით ცირკში. დასასრულ **„ცეკვა გასოვებისა"**, ბალეტი ორ მოქმედებათ აპოთეოზით. მონაწილეობას მთელი ბალეტიდა პრიმაბალერინა რუმიანცევა.

**ანონსი:** 2 და 5 თებერვალს გაიმართება ორ-ორი დიდი წარმოდგენა; დილისა—განსაკუთრებით ბავშვების და მოწაფეების სასიამოვნოდ, დაკლებულის ფასებით.

**დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ.** გამგე რ. ს. გამსახურდია.

მმ. სათვარიანცისა და ტერ-საკოვის

შეკერილ ტანისამოსის

პარიჟის მაღაზიაში

გოლოვინის პროსპექტზე, ვაჟთა პირველ გიმნაზიის პირდაპირ

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

22 იანვრიდან 10 თებერვლამდე

ფასები ქარხნისაა და ზედვე დანიშნულია ლურჯი კარანდაშით.

ტელეფონი № 258. (6—514—1)

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

ტფილისში

მუდმივის საწოლებით

(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

მიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფებისა

**მიხეილ აგაჯანოვი**: 11—12 ს. საშარდე, კანისა და სიფილისი.

**ი. ნ. ეგიაზაროვი:** 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.

**გ. ა. ფალეევონოვი:** 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.

**ი. გ. ავეტისოვი**: 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.

**მ. პ. გიმონცი:** 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.

**პ. ა. ბეიერი:** 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი.

**ი. ნ. თუმანოვი:** 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—17)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით $9—11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 5—7 საათზე. ვერა, ოლღას ქუჩა, № 25. (25—23)

თვალის ექიმი

ზ. მ. ცხვედაძე

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 11—1 ს. და საღ. 4—6. ვერა, ოლღას ქუჩა, № 31. სახლი სარაჯიშვილისა. (25—732—24)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ. სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—33)

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

**კანისა და ვენერიული.** დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი

ვ. ნ. მაგაკიანი

იღებს ავადმყოფებს შინაგან და ბავშვებისას სპეციალური ექიმია **კუჭისა და ნაწლავებისა**. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პროს., № 36, სახ. ჭავჭანიძისა (25—19)

ლაკტო-ბაცილიანი რძე

მზადდება თანახმად პროფ. მეჩნიკოვის დარიგებისა პროვიზორ

ა. ს. კლებანსკის

ქიმიკო-ბაქტერიოლოგიურ კაბინეტში

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ტელეფონი № 389. (100—51—61)

ქალ. ზილნალში

ექიმი ა. ა. ბალაშვილი

1 თებერვლიდან იწყებს ავადმყოფების მიღებას, ნ. მირინაშვილის სახლში, ფოსტის ქუჩაზედ. (24—509—4)

ამა 1907 წ. 1 თებერვლიდან მსურველთ ვასწავლი **ხალხურ სიმღერებს და**

გალობას.

კვირაში ორჯელ: ორშაბათობით და ხუთშაბათობით საღ. 5—8 ს-მდე ავჭალის ქუჩაზედ, № 29, სახ. ყულუმბეგაშვილისა, ქალაქის პირველ დაწყებით სასწავლებლის შენობაში. მსურველთ მიმართონ და ჩაეწერნენ შიო ქუჩუკაშვილთან წ. კ. გ. ს. კანტორაში და ს. სიკო მერკვილაძესთან „ცოდნის" მაღაზიაში. მოსწავლენიც მიიღებიან.

(5—4) ა. კავსაძე.

დაიბეჭდა და იყიდება

ალ. ბაქრაძის ახალი პიესა

ამ დროის გმირები

თანამედროვე ცხოვრ. 4 მოქ. და 5 სურ.

ფასი 30 კაპ.

პარტიით მსურველთ მიმართონ შიო ქუჩუკაშვილს (წ. კ. საზ. მაღაზიაში) (5—4)

სახაზინო თეატრი

ანტრეპრიზა რიზა ნორდშტრემისა

ოთხშაბათს, 31 იანვარს 1907 წელს

დანიშნულია პირველი გასტროლი გამოჩენილ მომღერალ ქალის **აიდა გონზაგასი**

შესრულებული იქნება

ლ უ ჩ ი ა

მზადდება ოპერა **დონ-პასკვალე.**

დასაწყისი 8 საათზედ.

დირიჟორი **ა. ბერნარდი.**

რეჟისორი **ბ. დუნაევსკი.**

გამგე ოპერისა **ვ. ლ. ურუშამე.**

ავლაბრის თეატრი

პარასკევს, 2 თებერვალს

**დ. ჩარკვიანის საბენეფისოდ**

წარმოდგენილი იქნება

კ ა ი ნ - გ რ ა პ ხ

ტრაგედია 5 მოქ. მონტისა, თარგ. მაჭავარიანისა

ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომია.

დასაწყისი საღამოს $7^1/_2$ საათზე, დასასრული $10^1/_2$ საათზე (დაბრუნების დროს დამსწრეთ შეუძლიათ ისარგებლონ კონკით)

თეატრი „რენესანსი"

(მიხეილის ქუჩა)

ოთხშაბათს 31 იანვარს ახალგაზრდა სცენის-მოყვარეთა მიერ არტისტის ა. ადამიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება:

I

„ცხოვრება-ბრძოლაა"

თანამედ. დრამა გულისაშვილისა.

II

„მ ა თ ი კ ო"

ძე-3-მე მოქ. ცაგარლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ასათიანი, ქართველიშვილი, აფხაზიშვილი; ბ-ნნი **ა. ადამიძე,** ვ. ადამიძე, გ. ბაგრატიონი, ე. ანანიაშვილი, ს. კობახიძე, ს. ჯაფარიძე, ი. შალიკაშვილი, დ. დიდებულიძე და სხვა.

**დასაწყისი საღამოს 7 საათზე.**

ბილეთები იყიდება კასსაში

რეჟისორი **ა. ადამიძე.**

გამგენი **ვ. ადამიძე, გ. ბაგრატიონი.**

ანტრაქტებში დაუკრავს მანდოლინისტთა ჯგუფი, მოწაფეთაგან შემდგარი.

## ტფილისი, 31 იანვარი.

გამარჯვებულებს არ ასამართლებენ. არც ჩვენ ვაპირობთ გამარჯვებულ სოციალ-დემოკრატების გასამართლებას, მაგრამ მაინც არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის უცნაური და უკუღმართი გარემოება, რომლის გამოხატულებასაც წარმოადგენს მათი საარჩევნო გამარჯვება.

სოციალ-დემოკრატებმა მთელს ქვეყანას ყური გამოუჭედეს, ჩვენ კლასსთა ბრძოლის ნიადაგზე ვდგევართ, პროლეტარიატის პარტია ვართ, ვებრძვით ბურჟუაზიას და ვემსახურებით კლასსიურ თვითშეგნების განვითარებასო. ყველა ეს რომ მართალი იყოს, უეჭველია სოციალ-დემოკრატებს თბილისის არჩევნებში არა თუ არ უნდა გაემარჯვნათ, არამედ ძალიანაც უნდა დამარცხებულიყვნენ. წლევანდელ საერთო საქალაქო არჩევნებში, მთავრობის განკარგულებათა წყალობით, მუშები ე. ი. პროლეტარები სრულებით მონაწილეობას არ იღებდნენ. მაშასადამე საარჩევნო ბიულეტენებით ერთმანეთს ბურჟუაზიის სხვა და სხვა ნაწილები ებრძოდნენ; გამარჯვებაც, რა თქმა უნდა, რომელიმე ბურჟუაზიულ პარტიას უნდა ჰრგებოდა. მაგრამ მოხდა რაღაც სასწაული და ბურჟუაზიულ ამრჩევლების ბრძოლამ სოციალ-დემოკრატიას არგუნა გამარჯვება,

რას ნიშნავს ეს?

ორში ერთს: ან იმას, რომ გამარჯვებული სოციალ-დემოკრატია ბურჟუაზიული პარტიაა და არა პროლეტარული, და ან იმას, რომ ყალბია თვით ის მოძღვრება, რომლის მიხედვითაც თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილება აუცილებლად იგულისხმებს ხალხის დაყოფას კლასსებად—და კლასსების ორგანიზაციას პარტიებად. ეჭვის მიტანაც კი შეუძლებელია, მაგ., სოლოლაკის მცხოვრებთა ბურჟუობაზე, მაგრამ ამ ბურჟუების უმრავლესობამ მაინც სოციალ-დემოკრატებს მისცა ხმა. ცხადია მაშასადამე, რომ ან სოციალ-დემოკრატია არ ყოფილა ბურჟუების მტერი და ან თვით ბურჟუები სოციალ-დემოკრატები ყოფილან. სოციალ-დემოკრატების ბელადებმა, რამდენიც უნდა იხტუნონ, ამ დილემას ვერსად წაუვლენ, ვიდრე თავის თეორიის ცალმხრივობას არ უარჰყოფენ და ეკონომიურ მომენტიან ერთად სხვა მომენტებსაც არ მიიღებენ მხედველობაში.

ჩვენ წინასწარ ვიცით, რომ ჩვენებური სოც.-დემოკრატები ისე გაბრუვდებიან თავის გამარჯვებით, რომ ამ გამარჯვების შეუთანხმებლობას მათს ცალმხრივს მოძღვრებასთან ვერც კი შეამცნევენ, მაგრამ სიტყვა სხვაა და საქმე სხვა. სიტყვით კიდევ დიდს ხანს იქნებიან სოც.-დემოკრატები პროლეტარიატის პარტიად, ხოლო საქმით კი—რაც ხანი გავა, მით უფრო მკაცრად შეეხეთქებიან დოგმებში მოუთავსებულ ცხოვრების მრავალ-ფეროვნებას და მით უფრო ნაკლებ იქნებიან გამომხატველნი პროლეტარიატის ინტერესებისა.

## ჩემი დღიური.

ნათქვამია, ადამიანს მაშინ იცნობ, როცა ის ბედნიერია ან უბედურიო, ადამიანის ნამდვილი პიროვნება ყველაზე უფრო უბედურებაში და მეტნავად-კი ბედნიერებაში გამომჟღავნდებაო. ჩვენებური სოციალ-დემოკრატები დღეს გამარჯვებულები არიან, ბედნიერები. მთვრალნი არიან ბედნიერებით და წინად თუ ცოტაოდნავ ნამუსიანად იქცეოდნენ, ახლა აიშვეს აღვირი, უკუაგდეს ყოველივე მორიდება და ამოუშვეს, რაც მათ გულში სიბილწე და შხამი იყო. ჯერ დაიწყეს მხოლოდ, მაგრამ თან-და თან უმატებენ და შემდეგში შეიძლება ისეთი საშუალება იხმარონ თავისუფალი აზრის შესაბორკავად, მოწინააღმდეგე მიმართულების დასახშობად, ხალხის დასამონავებლად, რომლის მსგავსი პოლიციურ თვითმპყრობელობას არასოდეს არ უხმარია. პოლიციურ აბსოლუტისტურ წესწყობილებას ერთი ძალა ჰქონდა ხელში—ძალა ფიზიკური, სოციალ-დემოკრატიული აბსოლუტიზმი კი შეიარაღებულია იეზუიტურ ვერაგობითაც, რომლისთვის ყოველივე საშუალება მოსაწონია, ოღონდ კი ის ემსახურებოდეს „პარტიის გამარჯვებას".

პარტია, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის დღევანდელ მოძრაობაში, დღითი დღე ჰკარგავს პროგრესიულ მიმართულების სახეს და ემზგავსება იეზუიტების ორდენს, განყენებულ დოგმის გულისთვის ჰბორკავს აზრს, აბრმავებს ხალხს, რომელსაც ემსახურებოდა, ჰრყვნის გონებას, რომლის გამოფხიზლება ტყუილად დაუწერია თავის დროშაზე. არ არის არავითარი ძალმომრეობა, ხრიკი, მატყუარობა, ცილისწამება, დაბეზღება, რომელსაც არ მიმართავდეს ჩვენებური სოციალ-დემოკრატია თავის „პარტიულ ბატონობის" გასაძლიერებლად.

მართალია, მათმა მოძღვრებამ გამოიწვია დიდი რევოლიუციონური მოძრაობა ჩვენში (ეხლანდელ დროში, რასაკვირველია, თორემ წინად უმაგათოთაც იბრძოდა ხალხი თავის ქონებრივ და უფლებრივ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად), რადგან მაშინ ჩვენში სოციალ-დემოკრატია თითქმის ერთად ერთი რევოლიუციონური პარტია იყო. მაგრამ შემდეგ, როგორც ეს ყოველთვის და ყოველგან ხდება, განვითარებამ წარმოშობა სხვა რევოლიუციონური მიმართულება, სხვა სოციალისტური პარტიები, რომლებიც უფრო ახლო არიან ცხოვრებასთან და რომლების მოძღვრება უფრო შეეფერება ხალხის საჭიროებას. ამ ახალმა სოციალისტურმა პარტიებმა ყურადღება მიაქციეს სოციალ-დემოკრატიის შეცდომებს, გამოააშკარავეს მისი დოგმატიკოსობა და სიყალბე, დაამტკიცეს, რომ მის მიერ არჩეული გზა გამარჯვებამდის ვერ მიიყვანდა ხალხს, რომ რისთვისაც სოციალ-დემოკრატია მოუწოდებდა მუშა ხალხს, ის შეუძლებელი იყო და მავნებელიც.

ახალმა სოციალისტურმა პარტიებმა დაიწყეს ხალხში მოქმედება, მაგრამ ისეთის მტრობით და წინააღმდეგობით შეხვდა მათ სოციალ-დემოკრატია, რომელიც მოსალოდნელი არ იყო თვით პოლიციურ მთავრობისაგანაც კი. ხმის ამოღების ნება არ ჰქონდათ არა-სოციალ-დემოკრატიულ მქადაგებლებს; თუ სადმე გაჩნდებოდა სოფელში ან ქალაქში ს.-ფედერალისტი მოლაპარაკე, მაშინვე გაუჩნდებოდნენ ხოლმე თანამხლებლებად სოციალ-დემოკრატიული პოლიციელები და ჯაშუშები, რომლებიც თავისუფლად დაძინების ნებასაც არ აძლევდნენ. თუ სოციალისტ-ფედერალისტი მაინც მოახერხებდა სადმე კრებაზე მისვლას, სოც.-დემოკრატიული დარაჯები და კლაკიორები დაუწყებდნენ ყვირილს, გინებას, ასტეხდნენ აურ-ზაურს და კეტებსაც კი მოიმარჯვებდნენ მოწინააღმდეგის გასაბრეგავად. სასტიკად აკრძალული ჰქონდა ხალხს მიჰკარებოდა სოც.-ფედერალისტს და მშიერი და მწყურვალე რომ ენახა, პური და წყალიც კი არ უნდა მიეცა მისთვის...

ასე იყო ამ ორი წლის წინად. ს.-დემოკრატები ახლა ყვირიან თავის გამარჯვებაზე. არა, „გამარჯვებულნი" და გაბატონებულნი მაშინ იყვნენ ისინი. დღეს სულ სხვაა.

ს—ა.

## „ქუთაისის „კადეტებმა" დაამთავრეს"

უცნაური „პროკლამაცია" გამოიცა ქუთაისში არჩევნების წინა დღეებში. მართალი გითხრათ, სტოლიპინის უკანასკნელ ცირკულიარის თარგმანი მეგონა. ყოველ შემთხვევაში ამ ცირკულიარის ზეგავლენით უნდა იყოს იგი დაწერილი, მაგრამ ქვევით ჩვენი „კადეტების" სახელი და გვარი აწერია და ამან, ცოტა არ იყოს, შეგვაშფოთა. ამაზე ხელის მოწერა შეუძლია მხოლოდ იმ პარტიებს, რომელიც მოთავსდებიან „პრავოვოი პორიადოკის" პარტიასა და 17 ოქტომბრის პარტიას შორის, მაგრამ არა თუ კადეტების, ნამდვილის კადეტების პროგრამასთან არავითარი საერთო არა აქვს. მშვიდობიან განახლების პარტიაც კი არ იკადრებს გამოსცეს ასეთი უშინაარსო, უაზრო, უსიცოცხლო და აბნეულ-დაბნეული ელსარება თავისის პოლიტიკური კრედოისა. აბა ეხლა გვიბრძანონ ბ-ნთ აქაურმა „კადეტებმა", რა პარტიას ეკუთვნიან იგინი. აქვთ თუ არა უფლება „კადეტების" სახელი ატარონ და ამ ფირმით გაასაღონ გადახავსებული უშინაარსო რამ.

თავიანთ მოქმედებითაც კადეტებმა დაავვირგვინეს თავიანთი მანიფესტი და ისე მოიქცნენ, როგორც მანიფესტს შეეფერებოდა და ამ მანიფესტიდან და მასთან შეთანხმებულის მოქმედებით საუკუნოდ გაუთხარეს სამარე თავიანთ ეგრედ წოდებულ „პარტიას".

ქუთაისის არჩევნებში გამწვავებული ბრძოლა იყო ორ დიდ პარტიას შორის: ს.-დ. და ბლოკს შორის (ს. ფ.-სა და ს. რ.-ისა). კადეტებს არ ჰქონდათ არავითარი შანსი თავიანთის კანდიდატების

გაყვანისა. პოლიტიკური წინდახედულება და გამჭვრეტელობა მოითხოვდა ორ სოციალურ პარტიათა შორის ის ამორჩია, რომელსაც საეროვნო კითხვის გაგონებაზე არა თუ ეპილეფსია არ მოსდის, საეროვნო საგანი პროგრამის ერთ უმთავრესს მუხლადა აქვთ აღიარებული. მაგრამ კადეტებმა ეს არ მოისურვეს, ცალკე სია წარმოადგინეს და ამ ნაირად ხელი შეუწყვეს ცენტრალისტურის იაკობინიზმის წარმომადგენლებს და ს.-ფედერალისტებისა და ს.-რ.—ების დამარცხება გაუდადვილეს ს.-დ.—ებს. და ამ უცნაურ პოლიტიკურ ნაბიჯს ზოგი იმაზე ამყარებდა, არ შეგვიძლია ისტორიულად თავი წარვიხოცოთო. ისტორიაში ჩვენი კვალი უნდა დარჩეს, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით სოციალიზმისაო". მაგრამ ისტორიულად კი ის აღინიშნა, რაიცა ჩვენებურის ანდაზით ასე გამოითქმის: „ერთ სულიერს პიტნა სძულდა და ცხვირში ამოჰქარდაო." ჩვენმა „კადეტებმა" ხელი შეუწყვეს ისეთი სოციალისტურ პარტიის გამარჯვებას, რომელმაც მთელი ჩვენი ხალხი შეჰკრიბა ამ ლოზუნგის გარშემო: „ძირს ავტონომიაო", რომელიც ვითომ და დიდ სანუკარ საგანს უნდა შეადგენდეს ჩვენის „კადეტებისათვის". მაგრამ თავის მოქმედებით კი სულ სხვას გვიმტკიცებენ და მე მგონია არ გაივლის დიდი ხანი, რომ ავტონომია მაგათ პროგრამაში დაიქვეითებს საოლქო ერობამდის და ერთის ორის წლის შემდეგ, თუ ღმერთმა სტოლიპინი კარგად გვიმყოფა, ავტონომიის მაგიერ უბრალო ერობასაც დავაკმაყოფილოთ ჩვენი ბრძენი კადეტები.

ამის სიმპტომებს ჩვენ ეხლავე ვხედავთ. აქაურ „კადეტთა" მეთაურებს ამ უკანასკნელ დროში კიდევაც ერთხელ განუცხადებიათ თურმე, თუ არჩევანზედ მიდგა საქმე, ჩვენ ისევ სოც.-დ.-ები გვირჩევნია სოც.-ფედერალისტებსაო. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რასაკვირველია, ე. ი. სოციალიზმი მართალია ეჯავრებათ ჩვენ „კადეტებს", მაგრამ ეს-დეკების სოციალიზმი ისე საშიში არ არის, იგი უბრალო პოლიტიკური ოპორტიუნიზმია, რაიცა სულსა და გულს უხარებს ჩვენ „კადეტებს", ხოლო ავტონომია კი ჯანდაბას გაატანეს. ამგვარ პოლიტიკურ ორპირობით წაჯიქ-უკუჯიქობით კადეტის პარტიამ აქაურ ვაჭრების საყვედურიც კი დაიმსახურა და ეს იმით აღინიშნა, რომ ვაჭრებმა გ. ზდანოვიჩი დაუსვეს თავში კადეტთა კანდიდატების სიას და ამით თავიანთი პოლიტიკური ელფერი განისხვავეს კადეტების წაჯიქ-უკუჯიქობის პოლიტიკისაგან. თუმცა ნამდვილ მეგობრობის გამოცხადება ს.-რ. და ს.-ფ. არც ამათ მოინდომეს. ვინაიდან ვაჭარი რის ვაჭარია, თუ რომ სპეციალისტი არ იყოს ალისა და „ჩოთქისა". ერთ ნაბიჯს რომ წინ გადასდგამს, ორს უკან ჩამოირჩენს. ამიტომაც ასე განსაჯეს: ს.-ფ. ბლოკს რომ მივსცეთ ხმები და ამით ევენი გავიდნენ, ეს-დეკები ხომ გადაგვეკიდნენ, „პრიკასჩიკებს" აგვიჯანყებენ და სხვა. ბლოკს მაინც მეგობრობა გამოუცხადეთ, ვინაიდან მისი მეთაური ჩვენ კანდიდატად ჩავრიცხეთ. თანაც არც კადეტებთან მოისურვეს ერთბაშად კავშირის გადაწყვეტა, მარტო პირადი ვითომდა გაფრთხილება ამცნეს.

ამგვარად, დამთავრდა კადეტების ისტორია. მათ თანდათან ეცლებათ ნიადაგი ფეხიდან. მაშინ როდესაც სხვა პარტიები შეუდარებლად და შედარებით იზრდებიან, ჩვენი „კადეტები" შედარებითა და შეუდარებლად მცირდებიან, და ამგვარად მათის არსებობის უკანასკნელი ხანა აღიბეჭდა მათის შესანიშნავის ზემო მოყვანილის მანიფესტით და მათის პოლიტიკურის ძალ-ღონით, და აგრეთვე საარჩევნო სრულის დამარცხებით, ვინაიდან შარშან რომ ს.-ფ. უსწორდებოდნენ წრეულ ორჯელ ნაკლები მიიღეს. ასე რომ უმცირესი ხმა, რომელიც მიიღო ბლოკის ორმა კანდიდატმა (დათეშიძემ—923 ხმა, გობეჩიამ 894) ოთხჯერ და ხუთჯერ მეტია იმ უმცირესს ხმებზედ, რომელიც მიიღო „კადეტების" ორმა კანდიდატმა (დ. მიქელაძემ—217 ხმა და სვ. ლორთქიფანიძემ—172 ხმა).

ასე დაამთავრეს „კადეტებმა" თავიანთი მოღვაწეობა. მათის მოქმედების საუცხოო დამახასიათებელია ის ერთი ბლანკი, რომელიც ყუთში აღმოჩნდა, რომელზედაც ეწერა კადეტების წმინდა სია და უკან კი ასეთი დარიგება: „ამოირჩიეთ რუსეთის ერთგული და თავ-განწირული ამომრჩეველი, არა მოსთხოვოთ რა რუსეთს, არ შეაწუხოთ იგი თქვენის ზედმეტის თხოვნით და სხ."

ასე თავდება ხოლმე პოლიტიკა გაურკვეველი, პოლიტიკა ორპირული, რომლის გამომხატველია „კადეტების" „მანიფესტის" სიტყვები: „ჩვენს სამშობლოს ეჭირვება მშვიდობიანი და თან და თანობითი კულტურული განვითარება, და ამ მიზნისათვის ერთგული და შეგნებული შრომა, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება სამართლიანობისა და გონივრულს თავისუფლების კალაპოტში ჩასდგეს".

იმ პარტიას, რომელიც ისეთის პიტიურის ენით ილაპარაკებს ასეთის ცხარე დროში, თავის დღეში მომავალი არ ექნება, იგი დღესვე დამარხულია და მოსპობილი.

**იმ—ამ.**

---

## არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში

### ჩვენში.

**არჩევნები ტფილისში.** წელს ტფილისში გაცილებით მეტმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში, ვიდრე შარშან. შარშან 25,000 ამომრჩეველიდან ნახევარზე ბევრად ნაკლებმა მიიღო მონაწილეობა, წელს კი 33,000 ამომრჩეველიდან 15,000 კაცამდე გამოცხადდა. სოციალ-დემოკრატებს მისცეს ხმა 7987 ცოტა მეტმა; დაშნაკცაკანებს 4359. რუს ამომრჩეველთა კავშირს 1455 ამომრჩეველმა; კადეტებს 588 და ჰინჩაკისტებს 220. იყვნენ უპარტიონიც.

28 იანვარს დილიდანვე მიაწყდათ ხალხი საარჩევნო კრების სადგომებს. ამომრჩევლებს რიგ-რიგობით უშვებდნენ, ამიტომ ბევრს ორი და სამი საათი უხდებოდა ცდა. ბევრგან კომისიის წევრები ძალიან სასტიკად იქცეოდნენ. მე-9 ნაწილში, მაგალითად, კომისიის წევრი მ. დ. მირიმანოვი ბევრ „შვილისა" და „ძეზე" ეჭვს აცხადებდა, რამაც კომისიის დანარჩენი წევრნი ძალზე აღაშფოთა. მე 9 ნაწილში დააპატიმრეს ერთი ყმაწვილი, რომელსაც 12 ბიულეტენი აღმოაჩნდა სხვა პირების სახელზე გაგზავნილ უწყებებით. მეორეს, მოსესოვს 20 ამგვარივე პაკეტი უნახეს. საზოგადოდ-კი არჩევნებმა მშვიდობიანად ჩაიარა. არჩევნებმა გასტანა საღამოს 9 საათამდე. მეორე დღეს, 29 იანვარს, გახსნეს საარჩევნო ყუთები და შეუდგნენ ხმების დათვლას. არჩევნების შედეგი შემდეგია:

**პირველი საარჩევნო უბანი.** 4508 ამომრჩევლიდან გამოცხადდა 1984. სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 1288 ხმა; რუსს ამომრჩეველთა კავშირმა—429; დაშნაკცაკანებმა—116, კადეტებმა—162. ამ რიგად არჩეულ იქმნა 9 სოც.-დემოკრატი: ს. ნ. ავდაკოვი, პ. პ. გელეიშვილი, აგორ სევანოვი, კ. ი. ჯაფარიძე, ა. ს. კალანდაძე, გ. თ. მახარაძე, კ. ე. ნინიძე, ა. დ. ნიკოგოსოვი და ბ. ა. თოროზოვი.

**მეორე საარჩევნო უბანი.** 1343 კაციდან გამოცხადდა 626. ს.-დემოკრატებმა მიიღეს 404 ხმა, დაშნაკცაკანებმა—97, რუსთა-კავშირმა—84, კადეტებმა—54. არჩეულ იქმნენ ს.-დემოკრატები: ვ. ე. წივწივაძე, ვ. ი. პატარაძე და ს. ი. ვადაკურია;

**მესამე საარჩევნო ნაწილი.** გამოცხადდა 588 კაცი. აქედან დაშნაკცაკანებმა მიიღეს 266 ხმა, ს.-დ—მა 204; კონ.-დემ-მა—64, რუსთა კავშირმა—44, ჰინჩაკისტებმა—6. არჩეულ იქმნენ დაშნაკცაკანები: გ. კ. ხაჯაკნიანი, ა. ო. ალაჯანიანი და მ. ს. ავანესიანი.

**მეოთხე საარჩევნო უბანი.** 1907 ამომრჩევლიდან გამოცხადდა 907 კაცი. სოც.-დემოკრატებმა მიიღეს 360 ხმა, დაშნაკცაკანებმა—345, კონ.-დემოკრატებმა—126, რუსთა კავშირმა 40 და ჰინჩაკისტებმა 20 ხმა. არჩეულ იქმნენ ს. დ-ბი: ი. მ. აკოპიანი, მ. ზ. ვარსიმოვი, ა. გ. ზურაბოვი, გ. ი. კაპლენსკი, გ. გ. კაფიევი, ა. ი. კანდახჩევი, ი გ. კირკაშვილი, კ. ა. საგირაშვილი და გ. ს. ტერ-ჯავიანი.

**მეხუთე უბანი.** 3463 ამომრჩევლიდან გამოცხადდა 1459 კაცი. დაშნაკცაკანებმა მიიღეს 814 ხმა, სოციალ-დემოკრატებმა—577, რუსთა კავშირმა—14 და ჰინჩაკისტებმა—56. არჩეულ იქმნენ დაშნაკელები: ს. მ. ზავარიანი, ნ. გ. მატინიანი, თ. ა. ტერ-მირაქიანი, გ. ი. ჩიბუხოვი, ა. ი. ვართანოვი, ო. ი. უნანიანი, ა. მ. ტატეოსიანცი და ე. ს. ტარახჩიანი.

**მეექვსე უბანი.** 1763 ამომრჩევლიდან მონაწილეობა მიიღო 1018 კაცმა. სოც.-დემოკრატებმა მიიღეს 632 ხმა, დაშნაკელებმა—331, ჰინჩაკისტებმა 54 და რუსთა კავშირმა—1. არჩეულ იქმნენ სოც.-დემოკრატები: ფაილ-ეფენდი, ნეიმალი-ზადე, ნ. ს. თოთიბაძე, დ. ი. ვართანოვი და მაშადი-მამედ-გასან-ალანკეროღლი.

**მეშვიდე უბანი.** 6082 კაციდან გამოცხადდა 2488 ამომრჩეველი. დაშნაკცაკანებმა მიიღეს 1414 ხმა, სოც.-დემოკრატებმა—921, რუსთა კავშირმა—90, ჰინჩაკისტებმა—46 და კონ.-დემოკრატებმა—8. არჩეულ იქმნენ დაშნაკელნი: ს. ო. ყაზარიანცი, ა. ა. აბრამოვი, გ. ბ. პოპოვი, ო. ა. დანიელიანცი, ა. დ. ამირალოვი, დ. ი. თამაზოვი, ა. ს. სარქისოვი, გ. მ. სარიანცი, გ. მ. არუთინიანცი, ა. ნ. არღუთიანცი, გ. მ. არუთინოვი, ე. დ. მიკირტუმიანცი, ს. ო. გალუსტოვი, ა. მ. კარაპეტოვი და მ ბ. გუშნიანცი

**მერვე უბანი.** 1765 ამომრჩევლიდან გამოცხადდა 790 კაცი. სოც.-დემოკრატებმა მიიღეს 365 ხმა, დაშნაკელებმა—243, რუსთა კავშირმა—116 და ჰინჩაკისტებმა—14. არჩეულ იქმნენ სოც.-დემოკრატები: დ. ი. აბაშიძე, ი. თ. ბაროდინი, ვ. გ. ონიკაძე, გ. გ. სამოდუროვი და ნ. გ. ტერ-გრიგორიანცი.

**მეცხრე უბანი.** 3987 ამომრჩევლიდან გამოცხადდა 1964 კაცი. სოც.-დემოკრატებმა მიიღეს 1052 ხმა, დაშნაკცაკანებმა—666, რუსთა კავშირმა—132, კონ.-დემოკრატებმა—68 და ჰინჩაკისტებმა—24. არჩეულ იქმნენ სოც.-დემოკრატები: კ. ვ. ვერმიშჩენკო, ვ. ბ. ახმეტელოვი, გ. კ. გოგუა, ი. მ. გონენაშვილი, ვ. მ. ბილანაშვილი, ე. გ. ქავთარაძე, ი. ა. ლომაური, ი. მ. მაჰავარიანი, ლ. გ. მაისურაძე, ა. გ. მერაბოვი, დ. გ. გაგლოევი და ნ. ვ. რამიშვილი.

**მეათე უბანი.** 7645 ამომრჩევლიდან გამოცხადდა 3280 კაცი. სოც.-დემოკრატებმა მიიღეს 2183 ხმა, რუსთა კავშირმა—905, კონ.-დემოკრატებმა—105 და დაშნაკცაკანებმა—67 ხმა. არჩეულ იქმნენ ს.-დემოკრატები: მ. ი. ბაქრაძე, ა. ლ. ჯაფარიძე, ი. ი. ჯიბლაძე, ი. გ. დურგლიშვილი, თ. პ. ზოლნიკოვი, ვ. კ. მახარაძე, ი დ. მაკედონსკი, ს. ა. მეგრელიშვილი, ა. პ. ნარიმანოვი, ს. გ. შაუმიანი, ვ. ბ. ჰაბუკიანი და გ პ. ერაძე.

ამრიგად 7 საარჩევნო უბანმა ხმის უმრავლესობით აირჩია 54 სოციალ-დემოკრატი და სამმა უბანმა 29 დაშნაკცაკანი.

ტფ. ქალ[illegible] საარჩევნო კომიტეტს დასამტკიცებლად წარუდგინა ტფ. 1, 2, 4, 5, 6, 8 და 9 საარჩევნო უბნების ამომრჩეველთა სიები. მეოთხე საარჩევნო უბნის კომისიის წევრმა მურადიანმა განასაჩივრა არჩევნები და, დაასაბუთა მით, რომ ზოგიერთა პირებმა ორჯელ მოინდომეს ბიულეტენების ჩაგდება ურნებში. მე 9 უბნის არჩევნები განასაჩივრა კომისიის 13 წევრმა: ვასილიევმა, ზავარიანცმა, პლოტნიკოვმა და სხვებმა. თავიანთ საჩივარს ესენი ამყარებენ იმ ფაქტებზე, რომ 28 იანვარს საღამოთი პოლიციამ დააპატიმრა ერთი 16—17 წლის ბავშვი, რომელსაც ჯიბეში აღმოაჩნდა 12 ბიულეტენი და უწყება და ამბობენ, რომ მან არჩევნებში უკანონობა შეიტანა. 10 უბნის არჩევნები განასაჩივრეს მარკოვმა, ჩერნიშევმა და ლობიგმა, რომელნიც ამბობენ, რომ არჩევანში მონაწილეობა მიიღეს ისეთმა მუშებმა, რომელთაც უფლება არა ჰქონდათ, რადგანაც მათ მუშათა კურიაში აირჩიეს თავიანთი წარმომადგენელიო.

---

**გორი.** 28 იანვარს მოხდა გორში არჩევნები. ს.-ფედერალისტების კანდიტები იყო კონსტანტინე ელიოზიშვილი და გრიგოლ დიასამიძე*). სოც.-დემოკრატებისა—კბილის ექიმი კევებ და მათიევი. დაშნაკცაკანებსაც ჰყავდათ 2 კანდიდატი. არჩეულ იქმნენ სოც.-დემოკრატების კანდიდატები.

### რუსეთში

(დეპეშათა სააგენტოსაგან)

**პეტერბურგი.** 29 იანვრამდე გლეხების, მემამულეების, მოქალაქეების და მუშების რწმუნებულებს აურჩევიათ 4838 ამრჩეველი. იმათგან მონარქისტი 1250 ანუ 25,8%; (ამ რიცხვში კავშირისაა—28, მონარქისტი 448, მემარჯვენე 349, უპარტიო მემარჯვენე 455), ზომიერი 770 ანუ 15,9% (იმათგან წესიერ. უფლებ. პარტიისა 31, ოქტომბრისტი 412 მათი თანამოაზრე 42, ზომიერი 130, ვაჭრ. მრეწველ. კავშირისა 3, ცენტრისა 28, კონსტიტ. მონარქისტებისა 5, უპარტიო მემარჯვენე 15); მემარცხენე 1957 ანუ 40,5% (იმათგან მშვიდ. განმაახ. 28, მათი თანამოაზრე 38, დემ. რეფორმ. პარტია და მათი თანამოაზრე 5, დემოკრატი 21, პროგრესისტი 316, კადეტი 483, მათი თანამოაზრე 141, კადეტებზე უფრო მემარცხენე 19, შრომის ჯგუფისა 146, შრომის ჯგუფის ბლოკისა 6, გლეხთა კავშირისა 4, სახ. სოციალისტები 6,

*) ჩვენ გავიგეთ, რომ გრიგოლ დიასამიძეს უარი განეცხადებინა კანდიდატებაზე, მაგრამ, რადგან გორში ცნობა გვიან მიიღეს, ვეღარ მოასწრეს კანდიდატობის სიიდან ამოშლა.

---

# ფელეტონი

## არ ახალია,—ძველია

### ეკონომიური მატერიალიზმი.

### II*)

ჰერბერტ სპენსერი მართალია, როდესაც ამბობს, რომ სოციოლოგია განგრძობა უნდა იყოს ბიოლოგიისაო. თუმცა ჰერბერტ სპენსერის სოციოლოგიური თეორია აღარ აკმაყოფილებს თანამედროვე სოციოლოგებს, მაგრამ მისი აზრი იმ მხრით მაინც ჭეშმარიტებაა, რომ სოციოლოგიასა და ბიოლოგიას შორის განუწყვეტელი ჯაჭვი უნდა გაიბას, თუ პირველსა სურს, როგორც ახალგაზრდა მეცნიერებას, კარგ პირობებში დაასრულოს თავისი მეცნიერულ-განვითარებითი ზრდა.

ჩვენ უკვე ზემოდ შევნიშნეთ, რომ ცხოველებმა შეადგინეს ჟამთა ვითარებაში საზოგადოებანი, სახეთა შენახვის კანონის ძალით; საზოგადოებრივობა ადამიანს მემკვიდრეობით გარდმოეცა წინაპრებისაგან; ადამიანის საზოგადოებრივობის სათავე ცხოველთა არსებობისათვის ბრძოლისა და შერჩევის წიაღთა შინაა,—მაშასადამე, თვით „საზოგადოება" და კერძოდ კაცთა საზოგადოება ბიოლოგიური მოვლენაა. თვით ის ფაქტი, რომ არსებობენ ცხოველთა და ადამიანის სახის ინდივიდთა შორის განწყობილებანი, ერთმანეთზედ გადააბამს ბიოლოგიასა და სოციოლოგიას, მაგრამ ამასთანავე უმთავრესად იმას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ სწორედ იმ მომენტში, როდესაც ჩნდება განსხვავება წმინდა ბიოლოგიურ და სოციოლოგიურ მოვლენათა შორის, ჩნდება აგრეთვე ყველა ელემენტები სოციალურ მოვლენათა დამახასიათებელი,—და სწორედ იმავე მიზეზების ზეგავლენით, რომელთაც შეჰქმნეს თვით ეს ფაქტი საზოგადოებრივობის წარმოშობისა,—ე. ი. წმინდა ბიოლოგიური მოვლენა.

მართლაც, რაც უნდა ძნელი იყოს გარჩევა ბიოლოგიურ და სოციოლოგიურ მოვლენათა ამ კრიტიკულ მომენტში,—მაინც ფაქტია, რომ როგორც ყოველი ცხოველი და კაცი,—ისე ის წრე, სადაც ის მოქმედებს, ორად-ორი ფაქტორია იმ მოვლენათა შესაქმნელად, რომელნიც ჰბადებენ როგორც ბიოლოგიურ, ისე სოციოლოგიურ მოვლენათა, და სწორედ ის უნდა იყოს გამოსავალი წერტილი ჩვენ სოციოლოგიურ კვლევათა, როგორც ბიოლოგების კვლევათა გამოსავალი წერტილია აგრეთვე თავდაპირველად განსაზღვრული მდგომარეობა ნივთიერებისა და განსაზღვრული წრე, რომელშიაც ხდება სიცოცხლის მქონე ნივთიერებათა გარდაქმნა (ეს საკითხი ჯერ-ჯერობით უფრო ჰიპოტეზებით სწყდება ხოლმე), შემდეგ კი განსაზღვრული სახე ცხოველისა ან მცენარისა და ის წრე, სადაც იგი სცხოვრობს და ვითარდება.

თუ კი ჩვენ სოციოლოგიას შევზღუდავთ და ვუწოდებთ მას მხოლოდ კაცთა საზოგადოების განვითარების კანონებს, მაშინაც აუცილებლად უნდა ავიღოთ იგივე ორი მომქმედი ფაქტორი: თვით ადამიანი, როგორც განსაზღვრული ტიპი ცხოველისა, და იმის გარშემო არსებული წრე, რომელშიაც იგი სცხოვრობს და ვითარდება,— იძენს მრავალ გვარ თვისებებს და მემკვიდრეობით გარდასცემს შთამომავლობას.

შესანიშნავი ფრანგი მოაზრე ბიოლოგი ლედანტეკი ამბობს: „არის მხოლოდ ორი ფაქტორი, აუცილებელი ცხოველის მოქმედებისათვის. ცხოველის სხეული და გარეშეწრე. არც ერთი მოვლენა, ადამიანის მიერ გამოჩენილი, არ შეიძლება გარემოცულ წრის უთანამშრომლოდ; ადამიანს არა აქვს ყოველივე ის, რაც საჭიროა ყოველივე იმის შესაქმნელად, რასაც ისა ჰქმნის. როდესაც ადამიანი $A$, მომქმედი გარემოცულ წრე $B$-ში, წყაროა ამა თუ იმ მოვლენის გამოჩენისა, ვერავინ ვერ იტყვის სრული სისწორით: $A$-მა ჰქმნა ესა და ეს. ვისაც სისწორით უნდა მსჯელობა,—აღნიშნული მოქმედება უნდა გამოჰხატოს შემდეგის სიმბოლიურ ფორმულით: $A \times B$, რადგან როგორც $A$, ისე $B$ აუცილებელ არიან ამ მოქმედობის აღსასრულებლად". 1) ეს ძირითადი ფორმულა გვიჩვენებს ერთის მხრით იმას, რომ ადამიანი თვით არის შედეგი ბუნების კანონთა, მეორეს მხრით იმას, რომ იგი მომქმედი ელემენტია თვით ბუნებაში, თვით შედის ბუნების ენერგიათა განწყობილებებში, როგორც განსაზღვრული ელემენტი და ამის შესაფერად იღებს **აქტიურ** მონაწილეობას მრავალ გვარ თავისებურ მოვლენათა შექმნაში.

განვიხილოთ ეს ფორმულა: $A \times B$, აღვიარებთ რა წინ და წინ იმ ფაქტს, რომ არსებობს ეგრედ წოდებული სახეთა შენახვის კანონი (ამ კანონის ანალიზი და ფილოსოფიური დასაბუთება ამ წერილის საგანი არ არის).

ჩვენ ვიცით, რომ $B$ (გარემოცული წრე) შესდგება მრავალ-ფეროვან ელემენტთაგან, რომელთაგანაც ზოგი ხელს უწყობს $A$-ს არსებობას განსაზღვრულ პირობებში, ზოგიც წინააღმდეგია $A$-ს შენახვისა —მაშასადამე $A$-ს თავის სახის შენახვის კანონის ძალით იძულებულია გამონახოს ისეთი წესები $B$-სთან შეგუებისა და საზოგადოდ მასთან განწყობილებისა, რომ ფორმულა $A \times B$ მართლაც რაციონალური იყოს, ეთანხმებოდეს $A$-ს შენახვის კანონს. ეს საუკეთესო წესი არის $(A_1 + A_2 + A_3 + A_4 \ldots + A_n)$-ს შედგენა, ანუ საზოგადოება შეერთება ინდივიდებისა, რომელნიც განსაზღვრულ გარემოცულ მრავალ ფეროვან წრეში მოქმედობენ. ამგვარი მდგომარეობა გამოიხატება მაშინ ფორმულით: $(A_1 + A_2 + A_3 \ldots + A_n) \times B$. ამით ჩვენ ვნახულობთ გამოსავალ წერტილს ჩვენი კვლევისას. ჩვენა გვაქვს საზოგადოება და წრე, რომელიც მასზედ მოქმედობს და რომელზედაც თვით ის მოქმედობს. განვიხილოთ როგორია მათი ერთმანეთზედ მოქმედება.

უპირველეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ სიცოცხლის მოვლენანი აგრეთვე სხვა და სხვა ენერგიათა მოქმედებაა განსაზღვრულ პირობებში; განსაზღვრულ ფორმათა ენერგიანი მოქმედებენ ადამიანზედ გარემოცულ წრიდან. ზოგნი ამ ენერგიათაგანი ადამიანისათვის განსაზღვრულ პირობებში სიცოცხლის აუცილებელი განსაგრძობი საშუალებანი არიან,—ზოგნი კი აგრეთვე განსაზღვრულ პირობებში მავნებელნი არიან მისთვის. ჩვენი ფიქრით, თვით სახეთა შენახვის კანონის უმთავრესი მხარეც ის არის, რომ არსებობისათვის ბრძოლაში ცხოველთა და ადამიანის ინდივიდუალური ენერგიანი ერთდებიან გარეშე ენერგიათა სასარგებლოდ გამოსაყენებლად და აგრეთვე ზოგ ენერგიათა გავლენის თავიდან ასაცილებლად. ასე რომ საზოგადოება **ამ მხრით** სხვა არა არის რა, გარდა ადამიანის ენერგიათა შეერთებისა ბუნების ზოგიერთ ენერგიათა სასარგებლოდ გამოსაყენებლად და ზოგიერთთა მავნე გავლენის დასათრგუნავად. გარემოცული წრე, გარეშე ენერგიანი კი ერთნაირად მოქმედებენ **თავის მხრით** ცოცხალ ადამიანზედ,—სულ ერთია ამ უკანასკნელს საზოგადოებრივი წესი აქვს ცხოვრებისა თუ ინდივიდუალური.

ამისათვის, ავიღოთ პირდაპირ ენერგეტიული კანონები ბიოლოგიისა, მიუხედავად იმისა,—საზოგადოებრივი არსია კაცი თუ არა; ამასთანავე ჩვენ უკვე ვიცით მიზეზი საზოგადოებრივობისა, რომელიც გამომდინარეობს სახეთა შენახვის კანონი-

*) იხ. „ისარი" № 19.

1) Felix Le Dantec: L'Athésme. Pario. E. Flammarion, 1906.

სოციალ-დემოკრატი 177, ს.-რევოლიუციონერები 44, მემარცხენე 358, უპარტიო მემარცხენე 253, რადიკალები 13;

ნაციონალურ პარტიის მომხრე 320 ანუ 6.6⁰/₀ (იმათგან სახალ. უფლებ. პარტიისა 220, უგოდოვეცი 2, პოლონელი ნაციონალისტი 41, პოლონ. პროგრეს. 9, კათოლიკ. კონსტიტუციონ. 11, ესტონელ პროგრესის. 16, ბალტიის კონსტიტუციონ. პარტიისა 9, სიონისტ-სოციალისტები 16, ბუნდისტები 5, ლატიშელ ნაციონალისტი 2, დაშნაკცუტუნი 2); უპარტიო 328 ანუ 6, 8⁰/₀; უცნობი 213 ანუ 4,4⁰/₀.

ცალკე გლეხთა რწმუნებულებმა აირჩიეს 2039 ამრჩეველი. აქედან: მონარქისტია 646 ანუ 21,7⁰/₀, ზომიერი 248 ანუ 12,2⁰/₀; მემარცხენე 747 ანუ 36,6⁰/₀; ნაციონალური პარტიისა 81 ანუ 4⁰/₀, უპარტიო 204 ანუ 10⁰/₀, უცნობი პარტიისა 113 ანუ 5,12⁰/₀.

მემამულეებმა აირჩიეს: მონარქისტი 531, ზომიერი 424 ანუ მემარცხენე 313, ნაციონ. პარტ. 156, უპარტიო 60 უცნობი პარტიისა 55.

მოქალაქეებმა აირჩიეს 1137; მონარქისტი 73, ზომიერი 96, მემარცხენე 803, ნაციონ. პარტიისა 68, უპარტიო 56, უცნობი პარტიისა 41.

მუშების რწმუნებულთ აირჩიეს 121: ზომიერი 2, მემარცხენე 92, ნაციონ. პარტიისა 15, უპარტიო 8, უცნობი პარტიისა 4.

მოქალაქეთაგან 392 კადეტი, 103 სოც.-დემოკრ. და 11 სოც.-რევოლიუციონერი.

## ახალი ამბავი

✦ **ფულის გატაცება** (საავენტოს დეპეშა). 29 იანვარს ბათუმში ფრანგთა გემ „კრემიე"-დან დამოჟნაში ფულით სავსე პარკი მიჰქონდათ. როცა მეთვალყურე და დამოჟნის მოხელე ორი დარაჯის თანხლებით დამოჟნის კარებს მიუახლოვდნენ, თავს დაესხა ორი ყაბალახიანი შეიარაღებული კაცი. ფული წაართვეს, ეტლში ჩასდეს და გაიქცნენ. პარკში 40 ათასი ფრანკი იყო.

✦ **გაფიცვა ბაქოში** (საავენტოს დეპეშა). „არამაზდი"-ს მუშები გაიფიცნენ თუმცა საზოგადოებამ მუშების სასარგებლოდ ექვსი თვის ხელ-ფასის ოდენა გადასდო. ბევრი ნავთის მრეწველი სომეხი თავის ფირმის იჯარით გაცემას სცდილობს. ბაქოს ნავთის ფირმები სომეხმუშებს ყოველ წლივ 8 მილიონ მანეთამდე აძლევენ. როგორც თან და თან ირკვევა, მუშების გაფიცვა საარჩევნო სააგიტაციო საქმე ყოფილა სომხის სოციალისტურ პარტიისა, რომელსაც ბურჟუობას სწამებდნენ თავის გასამართლებლად გაფიცვა მოუხდენია. ახლა მოთხოვნილებანი მოიჯარადრებსაც წარუდგინეს. მოიჯარადრე გალპერინის მუშები გაიფიცნენ კიდეც. გადაწყვეტილია არ დაუთმონ და მუშები დაითხოვონ ნავთის მრეწველთა ერთი ჯგუფი სცდილობს შუამდგომლობა აღძრას, რომ ნავთის წარმოებას მიეცეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, სადაც გაფიცვები კანონით აღკრძალული იქნება.

✦ **გად სახლება და გაძევება**. ვიატკის გუბერნიაში ხუთის წლით იგზავნება გორის მაზრის მცხოვრები გრიგოლ დიმ. მაისურაძე: ჰბრალდება მუქარის წერილებით ფულის დატყუება. ილ. ლემეშჩეკი, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა არხანგელსკის გუბერნიაში გაგზავნა, იგზავნება ვიატკის გუბერნიაში. ტფ. საგ.-გუბერნატორიდან ეტაპით იგზავნებიან: ქუთაისის მაზრის მცხოვრები კალისტრატე ტყეშელაშვილი, სტ. ისანჯანოვი, სარ. გევორკიანცი, ტფ. გუბერნიის მცხოვრები ევა აზრ. გოგილაშვილი, ქუთ. გუბერნიის მცხოვრები ივანე ნიკოლაიშვილი.

✦ **ეპის. კირიონის გადაყვანა**. (საავენტოს დეპეშა). სოხუმის ეპისკოპოსი კირიონი კოვნოს ეპისკოპოსად (ლიტოვის ეპარქიის ვიკარად) დაინიშნა. სოხუმის ეპისკოპოსად დაინიშნა ხერსონის ეპისკოპოსი დიმიტრი.

✦ **ახალი წიგნი**. რედაქციამ მიიღო ახალი ქართული წიგნი: „მარქსიზმის შესახებ", ნ. მაქსიმოვისა, თარგმანი რ. ჯ—ძარისა, გამოცემა „გუთნისა". წიგნი სუფთად არის გამოცემული და ღირს ორ შაურად.

✦ **საექსარხოსოს სკოლების შესახებ**. სინოდში შესდგა კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს საქართველოს საექსარხოსოს სამრევლო სკოლების მოწყობის საქმე. კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა მთავარ-ეპისკოპოსი ნიკოლოზი. კომისიაში მონაწილეობას მიიღებს ეპ. კირიონი.

✦ **ქალაქის საბჭო**. 23 იანვარს ტფ. საბჭოს სხდომა კიდევ არ შესდგა. მოსულმა ხმოსნებმა უცადეს სხვებს 10 საათამდე. შემდეგ ქალაქის თავმა გამოაცხადა, სხდომა არ შესდგება და კერძოდ მოვილაპარაკოდ იმის შესახებ, თუ რა ღონის ძიებას უნდა მივმართოთ, რომ ხმოსნებმა იარონ საბჭოს სხდომაზეო. ხმ. ა. არგუთინსკიმ განაცხადა, ალშფოთება გამოვუცხადოთ ამ ხმოსნებსაო. თავ. მიქელაძემ სთქვა, ეგ საქმეს ვერ უშველის და უმჯობესია დავაჯარიმოთო. ბოლოს დაადგინეს ამ საქმის შესახებ მოხსენება შემდეგ საბჭოს სხდომაზედ განიხილონ.

✦ ბ-ნი ბ. დემურია გვთხოვს დავბეჭდოთ: გთხოვთ დაბეჭდოთ სია იმ პირებისა, ვინც ტობოლის გუბერნიის სოფ. ნოვოზაიამკში გადასახლებულ ქართველების სასარგებლოდ ინება ფულის გამოღება: ვახშამზე ქუთაისში შეგროვდა თერთმეტი მანეთი და 50.; გოგოლაურმა—1 მ., №№—2 მ., ილომ—1 მ., სარტიშვილმა—50 კ., ვუკოლამ—50 კ., სარტიშვილმა—50 კ., კლდემ—1 მან. 50 კ.: სულ ჩვიდმეტ მანეთ ნახევარი, რომელიც 24 იანვარს დეპეშით გაეგზავნა გადასახლებულებს ქ. იალუტოროვსკში, ტობოლ. გუბ. (კვიტანცია ქუთაისის ფოსტატელ. კანტორის № 2719.)

✦ 25 იანვარს თელავის მაზრის აკურახ საიალაღოზე მეცხვარეებს თავს დასცემია სამი შეიარაღებული კაცი. ერთს მეცხვარეს ერთი თავდამსხმელი სოფ. ვაჩნაძიანის მცხოვრები დითა დანელიშვილი სასიკვდილოდ დაუჭრია. სხვანი გადამალულან.

✦ 25 იანვარს სადგურ ქარელის მახლობლად საქონლის მატარებელით მიმავალ ვაგონიდან ჩამოვარდნილა კონდუქტორი ლაბაური, რომლისათვისაც მატარებელს ორივე ფეხი გადაუჭრია. ლაბაური რამდენისამე საათის შემდეგ გადაცვლილა.

## პროვინციის ცხოვრება

**გორი**. ჩვენს ქართლის დედა ქალაქს გორს გამატრაბაზებული „სოციალისტები" უდგამენ სულს. არ სცხრებიან არც ჩვენი „დედები" და დოტო-პიკნიკებში დაფავენ თავიანთ „უმანკო" სულს.

გართობა მეტის-მეტი გვაქვს, ყველგან და ყოველთვის „დამა-კავარდები" თავიანთ ცხარე „რეჩებით" გაძლიერებულ რეაქციას სირინოზის ხმით უგალობენ. შავ-რაზმელები თავიანთ ბიუროში, რომელიც გაუმართავთ ერთ რესტორანში, მუდამ-დღე კუდა-ვანწ ხანჯალ-ხმლის ტრიალში არიან ვერ შეესვლება ადამიანს, რომ იქიდან უწყინარი გამოვიდეს. დღე არ გაივლის, რომ ამ „რეიხსტაგში" ერთი ალიაქოთი, ერთი უბედურება არ დატრიალდეს, მაგრამ... ჩვენი ერთგული პოლიცია ხომ აწისთანა რაინდებს სამართლიან მსჯავრს არ დასდებს, ვინაიდან მათი მოყვასნი გახლავან. ბ-ნ „რესტორანისტს" წინად სოციალისტადაც მოჰქონდა თავი. ასეთია დღეს გორის ვითარება და ვნახოთ შემდეგ რაგვარ წავა გორელების საქმე.

**ხელაპე.**

**ს. ქვემო ჭალა** (გორის მაზრა). მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ამ რამდენისამე ხნის წინად მთავრობამ დანიშნა კომისიები მემამულეთა ზარალის ასანაზღაურებლად. გლეხებს ერთი ორად და სამად ახდევინებდნენ მამულის ხარჯს: ვისაც ერთი ან ორი დღის ხნული ჰქონდა, სამი და ოთხი დღის მოსავლის ვარაუდზედ ახდევინებდნენ. იყო ისეთი შემთხვევაც, რომ, თუ რამდენისამე გლეხს სოფელში შეუძლებლობის გამო ვერაფერს გადაახდევინებდნენ, შეძლებულებისაგან მიჰქონდათ მთელი სოფლისა თუ არა, შეუძლებელთა ხარჯი მაინც, და მით სთესავდნენ მეზობელთ შორის შუღლს და მტრობას. მაგ. სოფ. ბოყაში ერთ მეცხვარეს 60—80 სული ცხვარი წაართვეს და მინამ მთელ სოფლის ხარჯი სრულიად არ ჩაბარეს, სანამ არ დანებეს.

გენ. ამილახვარმა ამ 10—12 წლის წინად ერთი ნაწილი თავისი ტყისა, რომელიც ჰქონდა შესყიდულ, აასხეშინა და გასუფთავებინა, რისთვისაც დახარჯა, როგორც ამბობენ 3000 მანეთამდე. პირველ მოძრაობის დროს ეს ტყე თითქმის სულ ხელშეუხებელი დარჩა. შარშან კი ს. ჭალის გარშემო სოფლების მცხოვრებლებმა ვეღარ მოითმინეს და ამ ტყესაც დაუწყეს ჩეხვა. ჭალელებმაც ვეღარ მოითმინეს და თითო ოროლა კაცმა გამოიტანა სახლის მასალადა იარაღი. უფრო კი თვით თ. ამილახვრის ზოგიერთა სახლიკაცობამ დაატანა ძალა ამ ტყეს, იფიქრეს: ჩვენც გამოვიტანოთ, რა უშავს, გლეხებს გადახდევინებენო. ეხლა კი ტყეები შეჰკრეს და უპატრონოთ ადარავის უშვებენ, ვისაც მოასწრებენ, გაა იმის დღეს. ამ თვის 16 შვიდი კაცისათვის მოესწროთ და ისე ეცემათ, რომ შინ ძლივას ჩამვიდნენ; ორი დღე აქა ჰყავდათ დამწყვდეული, შემდეგ გორში გაგზავნეს.

**ყოფილი ფხალაძე.**

## რუსეთი

✦ **გაჩხრეკის საყურადღებო შედეგი**. ამ ჟამად პეტერბურგის პოლიცია ძლიერ აღშფოთებულია. ერთი სახლის გაჩხრეკის დროს აღმოუჩენია 45 ჩოხა იმ ფორმისა, რომელიც ხელმწიფის დამცველ მხედრებს—(კონვოის) აცვია. პოლიციას სასტიკი ბრძანება მიეცა, რათა დაუყონებლივ ყოველნაირი საშუალება იხმაროს და მიაგნოს იმათ, რომლებმაც ეს ჩოხები შეაკერვიეს, აგრეთვე ჩოხების შემკერავი თერძებსაც.

✦ **მღვდლის პეტროვის საქმე**. 22 იანვარს სინოდში სხდომა ჰქონდა სამღვდელო პირთაგან შემდგარ კომისიას, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა საკითხი მღვდლის პეტროვის მონასტერში გაგზავნის შესახებ. კომისიაში სხვათა შორის მონაწილეობა მიიღო ათმა ეპისკოპოსმა. დღევანდელი საეკლესიო ქრისტიანობის მქადაგებელნი გულმოდგინეთ მსჯელობდნენ იმის შესახებ, თუ რა სასჯელი გადაეწყვიტად ამ ქრისტიან მწერლისათვის. ბოლოს ამ საკითხს კენჭი უყარეს. მღვდლის პეტროვის სასარგებლოდ ერთი კენჭი მეტი აღმოჩნდა. მაშინ თავმჯდომარემ გამოაცხადა, როგორც თავმჯდომარეს ორი კენჭი მეკუთვნისო. ამ ნაირად პეტროვის მოწინააღმდეგეთა და მომხრეთა კენჭების რიცხვი გასწორდა. ეს არ იკმარეს ყოვლად სამღვდელოთ და გადასწყვიტეს ერთი წევრი კიდევ მოვიწვიოთ, რომელიც ჩვენი მართლმსაჯულების სასწორს ან იქით ან აქეთ გადმოაქანებსო.

✦ **სტოლიპინის მოსაკლავად შეთქმულთა გასამართლება**. ამ მოკლე ხანში უნდა გაასამართლონ ორი ახალგაზდა ქალი: კლიმოვი და ტერენტიევი, რომელთაც ჰბრალდება სტოლიპინის მოსაკლავად შეთქმულობაში მონაწილეობა. საქმეს სამხედრო სასამართლო განიხილავს. კლიმოვი 20 წლის ქალია, შვილი ერთი პროვინციელი ვექილისა, რომელიც სახელმწიფო საბჭოში იყო ამორჩეული „17 ოქტომბრის" პარტიის მიერ. ბრალდებულმა ქალებმა დამცველები უარჰყვეს.

✦ **მაჰმადიანთა დეპუტაცია სტოლიპინთან**. 20 იანვარს სტოლიპინს წარუდგა მაჰმადიანთა დეპუტაცია, რომელსაც მინისტრების მეთაური ერთობ მწყრალად დაუხვდა და გაკიცხა. მთავრობის მოწინააღმდეგე კადეტების პარტიის რევოლიუციონერების მომხრეები ხართო, თქვენი პრესაც ხალხს აჯანყებს; ახლა რომ ხელში თხოვნა გიჭირავთ, დარწმუნებული ვარ, პოლიტიკური შინაარსისაო. დეპუტატებმა წყნარად უპასუხეს; მხოლოდ იმას ვთხოულობთ, ძალას ნუ დაგვატანენ ნუ გამოგვაცვლევინებენ არაბულ ანბანს, რომლითაც უკვე 700 წელიწადია ვსარგებლობთ და სლავიანურ ანბანს ნუ მიგვაღებინებენო. სლავიანური ანბანი ყაზანის პროფესორს ილმინსკის გამოუგონია მაჰმადიანებისათვის. იგი პობედონოსცევის დაახლოვებული მეგობარია და რუსეთში მცხოვრებ უცხო ტომთა გარუსების მომხრეა.

## წერილი რედაქციის მიმართ

(პასუხად სურამის მღმრიგებელ შუამავალს თ-დ. კ. მ. ამირეჯიბს).

თავ. კ. მ. ამირეჯიბის წერილმა, რომელიც მოთავსებული იყო გაზეთ «გზა»-ში (№ 73), ძალაუნებურად გამომიწვია და ჩემს თავს მოვალედ ვრაცხ, პასუხი ვუგო.

1. თქვენ, თავ. ამირეჯიბო, ამბობთ: „ფალავანდიშვილებმა აირჩიეს თ-დ. გ. ნ. ბაგრატიონი და მას მიანდეს ტყის დამცველ რაზმის შედგენა." თქვენ ყველა ფალავანდიშვილებს თავს ახვევთ ტყის დამცველ რაზმის შედგენას, მაგრამ ერთი—მე ვიყავი წინააღმდეგი მაგ რაზმის შედგენისა და აგრეთვე სხვებიც—და რა უფლებით გქონდათ, ჩვენთვის ცილი დაგეწამებინათ?

2. თქვენი სიტყვებით: „რა გზით და ვისი შუამდგომლობით მოახერხა თ-დ. ბაგრატიონმა, არ ვიცი, და ეს კი ვიცი, რომ მან მიიღო 30 ბერდანის თოფი». თქვენ კარგად იცით, ვისი შუამდგომლობითაც იყო და როგორ მოხერხდა ეგ შეიარაღება, თქვენ ხელში უნდა გაიაროს ხოლმე სასოფლო სამართველოს საქმეებმა და აგრეთვე თქვენს გაუგებელად არა რჩება ადმინისტრატიული მიწერ-მოწერა სასოფლო სამართველოში და თქვენ არ გეცოდინებოდათ?

3. აი კიდევ რას ბრძანებთ: „ვიმეორებ, რომ ფალავანდოვის ტყის დამცველ რაზმის შეიარაღებაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია." ნუ თუ თქვენ უარსა ჰყოფთ ამ რაზმის შედგენაში მონაწილეობას? თუმცა კი თქვენ ოფიციალურად არ მიგიღიათ მონაწილეობა მათ შეიარაღებაში, მაგრამ ეს კი ნამდვილია, რომ თქვენ რჩევას აძლევდით ვითომ და ტყის დამცველ რაზმელებს. მოგაგონებთ: შარშან, როდესაც დამსჯელმა ექსპედიციებმა დაიწყეს მოქმედება, თქვენს კანცელარიაში გახლდნენ თავ მოყრილები თ-დ-აზნ. და მაშინ მე მომეცით წინადადება, რომ მე, როგორც მმართველს საფალავანდოთისას, მიმეღო მონაწილეობა ვითომ ტყის დაცვაში და ყარაულებისათვის ნებართვა ამეღო იარაღისა. ამაზედ მე უარი განვაცხადე. შემდეგ ზაფხულში, როდესაც ხელ-მეორედ შე არაღებაზედ დაიწყეს ლაპარაკი, მაშინ ბძანეთ „отчего не вооружиться, нечего предосудительнаго нѣтъ." ამის შემდეგ თქვენ აგრე დანამდვილებით უარსა ჰყოფთ?

4. აი კიდევ თქვენი სიტყვები: „ასეთ შეიარაღებას არ შეიძლებოდა, ღირსეული შედეგი არ მოჰყოლოდა. ასეც მოხდა, გამოვიდა რაღაც შავი რაზმის მგზავსი." თქვენ, ბატონო მომრიგებელ-შუამავალო, უნდა გცოდნოდათ და გაგეთვალისწინებინათ, რომ საქმე ასე დაბოლოვდებოდა. დავანებოთ თავი იმას, ვითომ თქვენ, არავითარი მონაწილეობა არ მიგიღიათ მათ შეიარაღებაში. მაგრამ თქვენი მოვალეობა იყო, ყოველივე ღონისძიება გეხმარათ, რომ ეს შეიარაღება არ მომხდარიყო. თქვენ ჩვენს მხარეში გავლენა გქონდათ თავად-იზნაურობაში და გლეხებშიაც, ყველაფერი შეგეძლოთ გაგეკეთებინათ. დიახ, ვიმეორებ, რომ შეგეძლოთ ეს გამწვავება გლეხებსა და თავად-აზნაურთა შორის თავიდან აგეცდინათ.

5. „თუ ისინი გლეხების წინააღმდეგ მოქმედებას შეუდგებოდენ,—ბძანებთ თქვენ,—მე მაშინვე ზომებს მივიღებდი, მათთვის დაუყოვნებლივ იარაღი აეყარათ." რატომ არ შეასრულეთ? ვინ დაგიშალათ? რაც თქვენ თვალწინ ამბები ხდებოდა, ნუთუ ვერა ხედავდით? არ გესმოდათ თქვენს გარშემო რა ხდებოდა?

6. „რომ საბოლოოდ მოგვესპო შავი რაზმი, ვიშუამდგომლე, დაუყოვნებლივ ჩამოერთმიათ იარაღი და მოესპოთ საფალავანდოს დამცველი რაზმი." საფალავანდოს და მარტო ფალავანდიშვილებს ნუ ახვევთ თავს ამ რაზმსა. ეს რაზმი, თუ მართლა ტყეების დასაცველად იყო, მარტო საფალავანდო ტყეს არ იცავდა: იგი ყველა მემამულეების ტყეების დამცველად გამოვიდა და აგრეთვე თქვენი ტყეების დასაცველადაც. ამ რაზმში მარტო ფალავანდიშვილები არ იღებდენ მონაწილეობას; ამათ გარდა თავ. ამირეჯიბებიც იყვნენ, თავ. ბაგრატიონები, კვალიაშვილი, ჩუბინიშვილი და სხვ. რაც შეეხება თქვენს შუამდგომლობას იარაღის ჩამორთმევაზედ, ეხლა ევ სულ ერთია, ჯამი რომ გატყდება, იმის გამთელება აღარ შეიძლება.

7. მეორე ჩემ წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება,—სწერთ თქვენს წერილში:—ეს ჩემ მიერ ყაზახების გამოწვევა,—ყოველს საფუძვლიანობას მოკლებულია." თუ აღარ გახსოვთ მოგაგონებთ: შარშან გაზაფხულის პირს, როდესაც რეაქცია მძვინვარებდა, თქვენს კანცელარიაში იყვნენ თავად-აზნაურნი თავმოყრილნი და ლაპარაკი იყო, რომ ავლევში ყაზახების მუდმივი რაზმი დაწესებულიყო. თქვენის რჩევით თავადაზნაურობამ გორის გენერალ-გუბერნატორს ალფტანგს თხოვნა მისცა. ეს თხოვნა თქვენ მიერ შავად იყო შედგენილ და ერთმა თავად-აზნაურთაგანმა თეთრად გადასწერა. მას შემდეგ ავლევში ყაზახების რაზმი ბინათრობს.

8. „მხოლოდ ეს შემიძლია ვსთქვა, რომ იმ რაიონებში, სადაც მუდმივ სდგას ჯარი, გლეხები ნაკლებ დაზიანდნენ, ვიდრე იქ, სადაც მუდმივი ჯარი არა სდგას." ეს აბსურდია, თავადო ამირეჯიბო! განა შეიძლება ამისი თქმა, ბავშვიც კი არ იტყოდა ამასა. ეგ შეიძლება მხოლოდ თავად-აზნაურობაზედ სთქვას და გლეხების დამცველათ ტყუილათ ნუ გამოდიხართ...

რაც შეეხება თქვენს შესახებ წერილების მოთავსებას „გრიგალში" იქნება ჩემზედაც გქონდეთ ეჭვი, მაგრამ გეტყვით, რომ მე მაგისთანა წერილებს არა ვსწერ და არც დავსწერ, თუ ნამდვილი საბუთები არა მაქვს ხელში.

**დუშიკო ფალავანდიშვილი.**

ვგზავნი თქვენს რედაქციაში*) ერთ იმ წერილთაგანს, რომელიც მე ჯერ ეს მესამედ მომსვლია

*) ვბეჭდავთ აქ ორ წერილს: ბ. ფურცელაძისას და მაჩაბლისას. ამ ხასიათის წერილი ბევრი მოგვდის და ყველა რომ ვბეჭდოთ, გაზეთი იმათ მოუნდება. სამწუხაროდ, გაზეთში გამოქვეყნება და საჯაროდ დაგმობა არ აშინებს ჩვენის დროის მრავალგვარ შანტაჟისტებს; ამიტომ გაზეთებში ამგვარ წერილების ბეჭდვა უსარგებლოა და ამიერიდან ვსპობთ. რედ.

---

-ჯან, ეს უკანასკნელი კი აგრეთვე განსაზღვრული განწყოფილებაა ენერგიათა შორის და სხვა არაფერი.

ფრანგ ფიზიოლოგის დასტრის სიტყვით (მასზედ დიდი გავლენა აქვს ოსტვალდს) სამი კანონია ენერგეტიულ ბიოლოგიისა: 1. სიცოცხლის მოვლენანი იგივე ენერგეტიული მეტაფორმოზანი არიან, როგორც ბუნების ყველა სხვა მოვლენანი. 2. გარეშე წრიდან სიცოცხლე სესხულობს ყოველისფერს, რითაც იგი მოქმედებს,—ამ ნასესხებ ენერგიას ქიმიური ხასიათი აქვს. 3. ცხოველის ენერგიულ გარდაქმნათა დასასრული არის სითბოს (თერმიული) ენერგია,—და არა მარტო თერმიული, როგორც თვით დასტრი ამბობს შემდეგ, არამედ მექანიკური ენერგია, ელექტრონისა, და სხვ.[1]) პირველი კანონიდანა სჩანს, რომ მხოლოდ არსებობს მუდმივი სრბოლა ენერგიისა ადამიანის არსებაში, რომ თვით ცხოვრებითი მოქმედება არის ეს სრბოლა ენერგიისა, რომ სიცოცხლის პროცესსები მხოლოდ ენერგიის პროცესსებია,—როგორც ამბობს ოსტვალდი.[2]) მეორე კანონი გვაჩვენებს, რომ გარემოცული წრიდან მოდის ეს სრბოლა ენერგიისა, განსაკუთრებით ქიმიური ფორმა ენერგიისა,—რაიცა გვიჩვენებს კვების უმთავრეს საჭიროებაზედ და გავლენაზედ ადამიანის ცხოვრებაში (ბოკლის უმთავრესი აზრი), მაშასადამე გეოგრაფიული წრის დიდ როლზედ ადამიანთა საზოგადოების არსებობაში (რეკლიუს უმთავრესი აზრი). მესამე კანონი გვიჩვენებს იმ უმთავრეს ფაქტს, **რომ ადამიანი აქტიურად მოქმედებს გარემოცულ წრეზედ, მაშინ როდესაც წრე მასზედ მოქმედებს პასსიურად** (ოსტვალდის აზრი[3]). აქედამ კი შემდეგ დავინახავთ, რომ ადამიანი დასაბამიდან ჩვენ დრომდე თავისი სუბიექტიური ძალებით, განსაკუთრებით თავისი ინტელლექტით, ცნობიერებით ისეთივე როლს თამაშობდა თავის ისტორიის შექმნაში, როგორც დანარჩენი სხვა პირობანი, თუ მეტს არა,—რადგანაც ისი სუბიექტიური ძალებისა, მისი ინტელლექტისა, მისი ცნობიერების მოქმედება მის მოქმედებათა საერთო ჯამში ძლიერ დიდი ზომის ალაგს იჭერს.

უნდა შევნიშნოთ, რომ ჩემთვის მაინც, თუ სხვისთვის არა, ძლიერ ძნელია ენერგეტიულ პრინციპთა გამოყენება სოციოლოგიაში. მე კი შეიძლება მხოლოდ უბრალო ინტუიციით და უხერხულად ვეძებ ამ პრინციპებში სოციოლოგიისათვის საჭირო ჭეშმარიტებათა.—ამისათვის ნება მიბოძეთ დავიხმარო ოსტვალდი, რომ ცოტათი მაინც ნათელ ვყო ჩემი აზრი. უპირველეს ყოვლისა, დავინახსოვროთ ის ფაქტი, რომ გარემოცული წრის ენერგიანი მოქმედებენ ადამიანზედ, მუდამ დადიან მის სხეულში და იწვევენ განსაზღვრულ ენერგეტიულ პროცესსებს იმის და მიხედვით, თუ როგორია ხასიათი ადამიანის ორგანიზმისა, როგორც განსაზღვრულ მიზეზთა მიერ წარმოშობილ მოვლენისა.—ეს არის ერთი მხარე ჩვენი ფორმულისა,—B ს მოქმედება A-ზედ, ესე იგი პასსიური მოქმედება წრისა, ინდივიდზედ. მაგრამ არა ნაკლებ მნიშვნელოვანია მეორე მხარე ფორმულისა, A-ს მოქმედება B-ზედ, ესე იგი აქტიური მოქმედება ინდივიდისა წრეზედ;—ამ აქტიურ მოქმედებასა ჰქვია მუშაობა (Travail). ადამიანი თვით არის კრებული ენერგიისა,—იგი თვით არის მუშაობის შემსრულებელი ენერგია, და მისი გარემოცულ წრეზედ მოქმედება, მის წიაღთა შინა მუშაობა წარმოადგენს ძარღვსა და შინაარსს მისი სახის შენახვისა.

„რა და მუშაობა უნდა შეასრულოს ორგანიზმმა თავისი შეკრებილი ენერგიით"?—აყენებს კითხვას ოსტვალდი.

უწინარეს ყოვლისა მან უნდა შეინახოს თავისი მუდმივი მდგომარეობა, როგორც სტაციონალური მდგომარეობა ენერგიისა, რადგანაც ორგანიზმი სწორედ ეს სტაციონარული მდგომარეობაა ენერგიისა; ეს არის თვისება ინდივიდისა დაიცვას თავისი თავი მაშინაც, როდესაც გარემოცული წრე მუდმივ (და არა რადიკალურად,—დავუმატებთ ჩვენ) იცვლება,—უკვე შეკრებილი ენერგიის წყალობით.

შემდეგ მან უნდა იზრუნოს ზრდაზედ; ბოლოს მოდგმის განგრძობაზედ, რაიც იმავე დროს არის სახის შენახვა.[6])

ყველა ამ მუშაობათათვის საჭიროა ენერგიის დიდი საგზლის დაგროვება, რადგანაც ამავე მიზანთა მიღწევისათვის საჭიროა ენერგიის მუდმივი ხარჯვა.

**Bâton.**

(შემდეგი იქნება)

[1]) A. Dastre: La vie et la mort. Paris, Flammorion, 1905.

იხილე თავი II: L'énergie en Biologie, p. 100 და სხვა.

[2]) B. Оствальдъ: Натурфилософія, переводъ Филиппова и Котляра, p. 229.

[3]) Ibid, p. 230, прим. 7.

[6]) Оствальдъ, Натур. философія, იხ. თავი მე-15, p. p. 240—1.

და რომელიც მუქარით არის სავსე, თუ ფული არ მივეცი. იგიც ხომ ცოტა არა, ორმოცი თუმანი. ეტყობა ამ წერილის ავტორებს მე დიდი შეძლების პატრონი ვგონივარ, ალბათ იმიტომ რომ მე დღეს ბანკის თავსა ვდგევარ და ბანკის ფული ჩემი საკუთრება ჰგონიათ. ეძახიან თავის თავს დამშეულებს. დამშეულს ჯანით და ღონით სავსე ახალგაზდა კაცს, რომ თვითონ ჩვენგანმა ორმოცი თუმანი აძლიოს, მერმე მართლაცა და დამშეულთ, მაღალთა აზრთათვის წამებულთ ქვეყნისთვის თავს წირულთ, რომელთა განკითხვა და დახმარება ყოველი რიგიანი კაცისთვის სავალდებულოა და რომლისთვისაც მე ჩემი დღენი არაფერი დახმარება არ დამიკლია. ჰქი იცის კაცმა ამ ახალგაზდა ჯანითა და ღონით სავსეთ, რა აზრთა თავგაწირვისთვის დამშეულან? ან ვინ არის მოვალე შეინახოს ის, ვისაც შეუძლიან გ სჯა და განუზრახავს მტაცებლობითა და მუქარით ცხოვრება... ან იქნება ჰსარგებლობენ ესენი მით, რომ იციან ჩვენ არ მივმართავთ სასტიკ ოფიციალურს დახმარებას... დამშეულნი ვართო. განა დამშევა იდეაა, რომელიც ჰსაქიროებს დახმარებას იქ სადაც კაცს შეუძლიან თავის ჯანით და ღონით თვის შენახვა.

**ანტონ ფურცელაძე.**

---

ბ-ნო რედაკტორო, გთხოვთ თქვენს გაზეთში დაბეჭდოთ ეს წერილი. ცხრას იანვარს მე და ჩემმა მეუღლემ მივიღეთ შემდეგი წერილი: „თქვენ ცხინვალში მცხოვრებთ კნ. ივანე და კნ. ეფემია მაჩაბლისას. გაძლევთ პირველ სასტიკ წინადადებას, რომ დაუყონებლივ დაუბრუნოთ ყველა ის განაცარცვი ფულები გლეხებსა, რომელიც თქვენ ღალის სახელით მოპათლეთ და ამასთანავე დაუყონებლივ მოხსენით ეკზეკუციები რომელ სოფელშიც არის ჩაყენებული და გაანთავისუფლეთ ყველა თქვენ მიერ შეწუხებულნი გაძლევთ ადამიანურ წინადადებას, რომ ასე მოიქცეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით მთელი ოჯახი (გარდა ერთისა) სიცოცხლეს გამოვასალმოთ და თქვენი სახლ-კარი მთელის აოხრებას, ვისაც გნებავდეთ ეს წერილი უჩვენეთ, თქვენი ხსნა მხოლოთ ერთშია. სახელდობრ იმაში, რომ სისრულეში უნდა მოიყვანოთ ზემო აღნიშნული წინადადება, საქმის შედეგი გაზეთებში გამოაქვეყნეთ თქვენის პიროვნების ხელ მოწერით. მშვიდობით ნახვამდის. იმედია მალე განხავთ 1. იანვარი 1907 წელს".

ამასთანავე დახატულია კუბო და რევოლვერი როგორცა სჩანს ბატონს კუბოს დამხატავს და წერილების დამწერს გაუვარჯიშებია მხოლოთ კუბოების მხატვრობა და მუქარა რევოლვერებით, რადგან ყოვლად საქმის გაურჩევლათ და შეუტყობლათ გვემუქრის ჩვენ, რომელთაც არა თუ ეკზეკუციით, კომისიას გადაწყვეტილებითაც არავისთვის არა გარდაგვიხდევინებია რა და ვისგანაც რა ავიღეთ, სულ თავიანთისავე ნებით და თავიანთსავე გარდაწყვეტილებით, რომ პრისტავით არავისათვის არავითარი შეწუხება არ მიგვიყენებია. და არ შეიძლება უსახელო წერილის მიმწერმა აგვიხსნას, რომელ სოფელში არის ჩვენს მიზეზით ჩაყენებული ეკზეკუცია, რომ გამოვიყვანოთ. აღარ ვიცი რითი და როგორ გაუძლოთ ამდენ მუქარას ისედაც გაჭირვებულნი. დიდი ხანი არ არის, რამდენიმე წერილი მივიღეთ, რომ უეჭველათ წარვადგინოთ გორში, ისიც არ ვიცით ვისთან, ოცდა ათი თუმანი, თუ არა და დაგვენიშნება ტერორი. ესეც გვიბრძანონ, სად არის ამდენი ფული, როდესაც ჩვენ პურის და შეშის ფულსაც ვერსადა ვშოულობთ.

ივან მიხეილის ძე და ეფემია **მაჩაბლები.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 იანვარი.

**ოდესსა.** ვინშტეინის საფქვავ ქარხნის კონტორაში, სადაც 40 მოსამსახურე, შევარდა 7 რევოლვერით და ყუმბარით შეიარაღებული კაცი, 1250 მანეთი მოიტაცა და მიიმალა.

**ნოვოჩერკასკი.** მილიონერ შაპოშნიკოვის ეკონომიას დაეცნენ შეიარაღებული კაცები. მოსამსახურეებმა მტრები მოიგერეს, თუმცა ორი კაცი დაკარგეს.

**ლონდონი.** 20 თებერვალს ტრანსვალის ახალ პარლამენტის არჩევნები დაიწყება. პარლამენტში 60 წევრი იქნება ხუთი წლის ვადით. დეპუტატებს დაენიშნებათ თითო სხდომაზე 2 გირვანქა სტერლინგი (20 მანეთამდე) და 150 გირვანქა სესიის გათავების შემდეგ. ჯამაგირის მაქსიმუმია 300 გირ ანქა ქვედა პალატის გარდა იქმნება ზედა პალატა, რომლის წევრებს (რიცხვით 150) ინგლისის მეფე დანიშნავს. პარლამენტში კამათი ინგლისურ და ჰოლლანდიურ ენებზე იქმნება. ადგილობრივი მკვიდრნი (შავ-კანიანნი) ხმას მოკლებულნი არიან. ყველა კანონს, რომელიც მათ შეეხება, ახალ-შენის მინისტრი ამტკიცებს. შესდგა ხუთი პარტია. ყველაზე უფრო ძლიერი პროგრესიული პარტიაა. ეს პარტია მაღნებში ჩინელ მუშების ქირაობის წინააღმდეგია.

**მოსკოვი.** სახ. საარყე დუქნის მეარ[illegible] [illegible] თანხლებით ბანკში მიჰქონდა 51,000 მანეთი. დოლგორუკოვის ქუჩაზე ეკიპაჟის ახლო მათ ათი შეიარაღებული კაცი დაეცა. გოროდოვოის იარაღი წაართვეს; მეარტელე ეტლიდან გადმოაგდეს, ფული წაართვეს და გაიქცნენ, თან ჰაერში ისროდნენ. მათ გამოუდგა ტრამვაით მიმავალი პოლიციელი. გზაზე ერთი პარკი იპოვნა, სადაც 7000 მანეთი ოქრო აღმოჩნდა. დანარჩენი ფული მძარცველებმა წაიღეს და მიიმალნენ. მსუბუქ დაიჭრა პოლიციელი.

**პეტერბურგი** სამხედრო სასამართლომ კლიმოვს და ტერენტიევს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. მათ აფიციალურ კუნძულზე ფულის მოტაცების საქმის მონაწილეობას აბრალებდნენ. პეტერბურგის გვარდიის ჯარის უფროსის თანაშემწემ სიკვდილით დასჯა უვადო კატორგად შეუცვალა.

**თეირანი.** მთავრობამ პარლამენტის დაძალებით სამსახურიდან დაითხოვა დამოქნის მინისტრი ბელგიელი ნაური და მეორე დიდი მოხელე.

**დრეზდენი** აქ მყოფმა ფინლიანდიელმა სტუდენტებმა გამოაცხადეს, რომ მათ სოც.-დემოკრატების აგიტაციაში მონაწილეობა არ მიუღიათ, რადგან ისინი ნაციონალისტობის ძლიერი მიმდევარნი არიან.

**ოდესსა.** ალექსანდრიიდან მოიყვანეს სამი კაცი, რომელთაც აბრალებენ გემის „კოროლევა ოლგა"-ს აფეთქების განზრახვას.

**ბელოსტოკი.** ტრილინგის საზნების ფაბრიკა სულ დაიწვა. მაშინები დაილუპა. 200 კაცამდე ულუკმა-პუროდ დარჩა.

**კენიგსბერგი.** როგორც დრეზდენსა ლეიპციგსა და დარმშტადტიდან იუწყებიან, არჩევნების დროს რუსი სტუდენტები სოციალ-დემოკრატების სასარგებლოდ დიდ პროპაგანდას ეწეოდნენ. აგიტატორების დასასჯელად ზომებია მიღებული.

**ოდესსა.** ნავთ-სადგურში გემების მიმოსვლა თითქმის შეუძლებელი გახდა. ოდესიდან 10 ვერსის მანძილიდან 24 გემი ჩაიყინა მგზავრებით და საქონლით სავსე. ოდესის ნავთ-სადგურის ყინულის მჭრელი ვერას ხდება. დაიბარეს ნიკოლაევიდან კარგი ყინულის მჭრელი.

**ირკუტსკი.** როცა ინჟინერი სტეფანოვი, რომელიც ომსკში დაიჭირეს და რომელსაც ირკუტსკის სადგურის კასის გაძარცვას აბრალებენ, ორი ჟანდარმის თანხლებით ირკუტსკში მიჰყავდათ, მიმავალ მატარებლის ფანჯრიდან გადახტა და მიიმალა.

**ნოვოროსიისკი.** ნოვოროსიისკიდან სამოცი ვერსის მანძილზე მთაში, მიხაილოვის ხეობაში აღმოაჩინეს საიდუმლო ბინა.

**პეტერბურგი.** წრეულს კადეტების კორპუსის ყველა კლასში გამოცდა იქნება.

სახალხო განათლების მინისტრს აზრადა აქვს, რომ ყველა საშუალო სასწავლებელში კლასიდან კლასში გადასვლის დროს ეგზამენი მოახდინოს იმ საგნებში, რომელიც იმავე კლასში თავდება.

სახლის პატრონი მემამულე ქალი ნიკოლაევისა დააპატიმრეს. იპოვნეს პროკლამაციები, გექტოგრაფი და სარევოლიუციო ლიტერატურა.

---

რედაქტორ-გამომცემელი

**ივ. ი. მჭედლიშვილი.**

# განცხადებანი

**ქუთაისში**

## თესლეულობის კანტორა

**კიწმარიშვილისა და ამხ.-სა,** ბალახვანის ქუჩა, გუგუშვილის სახლში, სადაც შეიძლება შეძენა: იონჯის, კოინდრისა, სამყურის, პურის, ეკლის ხის, ბჟოლის, ლობიოს და ყოველგვარი ბოსტნეულობის და ყვავილების თესლეულობისა. პრეის-კურანტები მსურველთ ეგზავნებათ უფასოდ. (12—3)

---

იანვრის 20 1907 წელს, მე ვიყავი ირაკლის აბანოში და იქ დამრჩა უბის წიგნაკი. შიგ იდო პასპორტი სადეპუტატო საკრებულოდან აღებული, იდო აგრეთვე კვიტანციები ორი ათი თუმნისა. როცა მივბრუნდი და მოვსთხოვე აღარ გამომიჩინეს.

პავლე ალექსანდრეს ძე დეკანოზიშვილი.

---

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ., ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**კ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1}/_{2}$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ზაზანაშოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გმელიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—$1^{1}/_{2}$ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. უჩერზნინნა:** $1^{1}/_{2}$—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**გ. ი. გმელიშვილი** $6^{1}/_{2}$—$7^{1}/_{2}$.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**

(150—ხალ.—16)

---

გამოვიდა და დარიგდა გასაყიდად

**ახალი ქართული წიგნი**

## მარქსიზმის შესახებ

ნ. მაქსიმოვისა, თარგმანი რ. ჯ დრისა.

**ფასი 10 კაპ.**

---

# კეფირი

## ლ. კორონისა

**და იმისი მნიშვნელობა.**

ექიმების სოკლეტის, გადმქინტენის, ჰმიდტის და ბილის გამოკვლევისა და ბრეიერის, იერუსალიმსკისა და მენფელ ა გამოცდილებით.

**კეფირი** ძალიან უწყობს ხელს სიმძიმის მატებას,

**კეფირი** საუკეთესო საშუალებაა კუჭის კატარის დროს,

**კეფირი** საუკეთესო საშუალებაა სისხნაკლებობის დროს,

**კეფირი** საუკეთესო საშუალებაა სისუსტის დროს.

**კეფირი** საუკეთესო საშუალებაა სიყვითლის დროს

**კეფირი** საუკეთესო საშუალებაა სურავანდის დროს,

**კეფირი** საუკეთესო საშუალებაა ძალღონის აღსადგენად.

კეფირის მიღება შეიძლება მხოლოდ **ლ. კორონის** მაღაზიაში, ლიერის-მელიქოვის ქუჩა სემინარიის პირდაპირ. იქვე მზადდება აგრეთვე ლაქტობაცილინის რძე **პროფესორის მეჩნიკოვის** სისტემაზე. მსურველთ შეკვეთილებ შინაც მივაწოდით. (ნ. 20—19)

---

# ნამდვილი კახური ღვინო

Товарищество Кахетинскихъ виноградарей

„ძმობა" „ძმობა" ამხანაგობა

въ Тифлисѣ.

Телефонъ № 1036.

Головинскій проспектъ д. Добрянской.

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომი. (100—15)

---

# კბილის საექიმო სკოლა ლ. შტრემბერისა

**გადვიდა** ერევნის მოედანზე (პუშკინის ქუჩა, № 3), საკრედიტო საზოგადოების სახლში.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 7-მდე. კვირაობით დილის 9 საათიდან 1-მდე. ფასი შემდეგის ნიხრით: რჩევისათვის ან კბილის ამოღებისათვის (ძირისა)—20 კაპ.; პლომბა 50 კაპეიკიდან; ხელოვნური კბილის ჩაყენება—3 მანეთი თითო კბილის სადოსტაქრო ოპერაციებსაც აკეთებენ. (100—59)

---

მიიღება ხელის მოწერა 1907 წლისათვის.

**საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი**

# წელიწადი ნაკადული მესამე

1907 წლის 1 იანვრიდან 1908 წლის 1 იანვრამდის წლიურ ხელის-მომწერლებს მიეცემა:

**24** წიგნი, ჟურნალი „ნაკადული" **მცირეწლოვანთათვის** **12** წიგნი, ჟურნალი „ნაკადული" **მოზრდილთათვის**

დასურათებული წიგნები წლიურ ხელის-მომწერთა საჩუქრად არა ნაკლებ ასის გვერდისა თითო. პირველად მიიღებენ გრიმის ზღაპრებს.

წლიური ფასი ორივე გამოცემისა დამატებებით, ე. ი. 39 წიგნისა რჩება ისევ 5 მანეთი, ნახევარის წლით 2 მან. 50 კაპ., ცალკე პატარებისათვის 24 წიგნი—3 მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მანეთი. ხელის მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. თითო ნომერი ჟურნალისა პატარებისათვის ეღირება 15 კაპ., მოზრდილთათვის—25 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვთხოვთ ხელის-მომწერლებს ადრესი გარკვევით დასწერონ, დროზე შეგვატყობინონ ბინის გამოცვლა.

**ხელის მოწერა მიიღება:**

1) „ნაკადულის" რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალაშვილის სახ., № 8 ყოველ დღე 9—2 საათამდე, სამშაბათობით საღამოთიც; 2. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურ.; 3. წიგნის მაღაზია „Новая Рѣчь"-ში, გოლოვინის პროს.; 4. წიგნის მაღაზია „Образованіе"-ში, მიხაილოვის ქუჩა; 5. **ქუთაისი**, წიგნის მაღაზია „კოლხიდა-ში"; 6. **ბაქო**, ანა გრიგოლის ასულ ქვანიასთან და ნინო ქაიხოსროს ასულ დეკანოზიშვილთან; 7. **ბათუმი**, მარიამ ივანეს ასულ ელიავასთან, კნეინა სოფიო ნაკაშიძესთან და „Черноморскія Новости"-ს რედაქციაში; 8. **ყვირილა**, წიგნის მაღაზია „ივერიაში"; 9. **ოზურგეთი**, წიგნის მაღაზია „იმედში"; 10. **თელავი**, საზოგადო ბიბლიოთეკაში, ბ. გოშაძესთან: 11. **ელისავეტპოლი**, ბ. კონსტანტინე ოდიშარიასთან; 12. **ახალციხე**, სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორ ბ. ქიქოძესთან.

რედაქტორი: **მ. ი. დემურია.** გამომცემელი: **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**

---

Открыта подписка на 1907 годъ

на газету

# ЗАКАВКАЗЬЕ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: на годъ 8 руб., на 6 мѣс.—5 руб., помѣсячно—1 руб.

Плата за объявленія: впереди текста за строку петита 15 коп. послѣ текста 8 коп.

Тифлисъ, Головинскій пр., д. Пондоева. рядомъ съ городской аптекой.

Редакторъ-издатель **П. А. ГОТУА**

---



# ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მსწრაფლ-მავლები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა

და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების **საუკეთესო** მაღაზიებში.

Фабричное клеймо

СОПТ С.Петербургъ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ

საფაბრიკო ნიშანს

# ნარდად გაყიდვა

საკუთრო სახლის „ლეოპოლდ ნეიშილლერ"-ის

**საქონლისა საწარმოებს ერევნის მოედანზე. ტელეფონი № 40 იქნება მრავლად**

## ტყავეულობა

რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. (96—6.—47)